ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ა კ ა დ ე მ ი უ რ ი ს ა ბ ჭ ო

მისამართი: 6010, ქ. ბათუმი,
ნინოშვილის ქ., №35

ტელ/ფაქსი: (+995 222) 27 17 87
ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge

დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №75

2014 წლის 25 ივნისი,
ქ. ბათუმი

2014 წლის ივლისში ჩასატარებელ აკადემიური თანამდებობების შესარჩევ კონკურსში ორგანიზაციის - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ბათუმის წარმომადგენლობის იურისტების დამკვირვებლის სტატუსით დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის, ორგანიზაციის - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ბათუმის რეგიონული ოფისის განცხადების (13.06.2014, N835) საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

დ ა ა დ გ ი ნ ა:

1. ცნობად იქნას მიღებული ორგანიზაციის - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ბათუმის რეგიონული ოფისის კოორდინატორის მალხაზ ჭკადუას განცხადება ამავე ორგანიზაციის ბათუმის წარმომადგენლობის იურისტების ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 მაისის №57 დადგენილებით გამოცხადებულ კონკურსში დამკვირვებლის სტატუსით მონაწილეობის შესახებ;
2. ეთხოვოს საკონკურსო კომისიებს კონკურსანტთა თანხმობის შემთხვევაში უზრუნველყონ ორგანიზაციის - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ბათუმის წარმომადგენლობის იურისტების დასწრება კონკურსანტთა გასაუბრებაზე/ ლექციაზე;
3. ეთხოვოს ორგანიზაციის - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ბათუმის რეგიონული ოფისის კოორდინატორს მოაწოდოს უნივერსიტეტის ადმინისტრაციას წერილობითი ონფორმაცია ოფისის იურისტების ვინაობის შესახებ, რომლებიც დაესწრებიან დადგენილების მე-2 პუნქტში აღნიშნულ სხდომებს დამკვირვებლების სტატუსით;
4. დადგენილება ჩაბარდეს საკონკურსო კომისიებს, გამოქვეყნდეს ბსუ-ს კანცელარისთან არსებულ საინფორმაციო დაფაზე და გაეგზავნოს ორგანიზაციის - „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ ბათუმის რეგიონული ოფისს.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, პროფესორი **ალიოშა ბაკურიძე**